ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

SSVA 00026913

02/09/2026

ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №342 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა", ,,ი" და ,,რ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში, იმ ვეტერანების, მათი შვილების, მარჩენალდაკარგულებისა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, რომლებიც სწავლობენ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის დაფინანსების ოდენობა განისაზღვროს სტუდენტის მიმდინარე დავალიანების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 562.50 (ხუთას სამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარისა.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი
გენერალ-მაიორი

კობა კობალაძე